

შპს “ვი-აი-პი +”

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	8-19

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვი-აი-პი +“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შპს „ვი-აი-პი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვი-აი-პი“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შპს „ვი-აი-პი +“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 106 988	3 343 622
დაუმთავრებელი მშენებლობა		-	187 991
არამატერიალური აქტივები	5	311	436
შეზღუდული ფულადი საშუალებები	11	-	400 000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 107 299	3 932 049
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1 395 664	897 866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 755 816	959 875
საგადასახადო აქტივი		-	14 883
გადახდილი ავანსები	8	977 291	215 798
გაცემული სესხები	9	1 970 641	685 265
ფული და ფულის ექვივალენტები	10	190 510	1 475 128
სულ მიმდინარე აქტივები		7 289 922	4 248 815
სულ აქტივები		9 397 221	8 180 864
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3 892 921	2 615 816
სულ კაპიტალი		3 892 921	2 615 816
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	-	177 089
ფინანსური იჯარა	13	179 736	507 116
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	-	1 319 399
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		179 736	2 003 604
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1 107 579	477 690
მიღებული ავანსები		1 624 886	848 760
საგადასახადო ვალდებულებები	16	107 471	-
მოკლევადიანი სესხები	12	2 208 255	1 954 090
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	13	276 373	280 904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5 324 564	3 561 444
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9 397 221	8 180 864

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ვი-აი-პი“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში


	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 106 988	3 343 622
დაუმთავრებელი მშენებლობა		-	187 991
არამატერიალური აქტივები	5	311	436
შეზღუდული ფულადი საშუალებები	11	-	400 000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 107 299	3 932 049
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1 395 664	897 866
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	2 755 816	959 875
საგადასახადო აქტივი		-	14 883
გადახდილი ავანსები	8	977 291	215 798
გაცემული სესხები	9	1 970 641	685 265
ფული და ფულის ექვივალენტები	10	190 510	1 475 128
სულ მიმდინარე აქტივები		7 289 922	4 248 815
სულ აქტივები		9 397 221	8 180 864
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		3 892 921	2 615 816
სულ კაპიტალი		3 892 921	2 615 816
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	-	177 089
ფინანსური იჯარა	13	179 736	507 116
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	14	-	1 319 399
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		179 736	2 003 604
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1 107 579	477 690
მიღებული ავანსები		1 624 886	848 760
საგადასახადო ვალდებულებები	16	107 471	-
მოკლევადიანი სესხები	12	2 208 255	1 954 090
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი	13	276 373	280 904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5 324 564	3 561 444
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9 397 221	8 180 864

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		9 904 973	9 014 571
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(8 047 827)	(7 803 262)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		331 714	136 593
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(285 326)	(132 013)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		181 932	122 144
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან		3 390	-
საერთო მოგება		2 088 856	1 338 033
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(804 962)	(583 018)
რეკლამის ხარჯები		(709)	(25 609)
საპროცენტო შემოსავალი		103 682	70 746
საპროცენტო ხარჯი	18	(359 526)	(225 311)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		195 216	(1 650)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)	19	43 232	(324 056)
სხვა შემოსავალი		11 316	25 189
მოგება დაბეგვრამდე		1 277 105	274 324
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		1 277 105	274 324
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 277 105	274 324

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შპს „ვი-აი-პი +“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან		9 904 973	9 014 571
შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება		(8 047 827)	(7 803 262)
ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან		331 714	136 593
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(285 326)	(132 013)
ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან		181 932	122 144
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან		3 390	-
საერთო მოგება		2 088 856	1 338 033
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(804 962)	(583 018)
რეკლამის ხარჯები		(709)	(25 609)
საპროცენტო შემოსავალი		103 682	70 746
საპროცენტო ხარჯი	18	(359 526)	(225 311)
ძირ. საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)		195 216	(1 650)
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)	19	43 232	(324 056)
სხვა შემოსავალი		11 316	25 189
მოგება დაბეგრამდე		1 277 105	274 324
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		1 277 105	274 324
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1 277 105	274 324

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი



შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ვი-აი-პი +“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის	-	2 341 492	2 341 492
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარალი	-	274 324	274 324
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	2 615 816	2 615 816
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარალი	-	1 277 105	1 277 105
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	3 892 921	3 892 921

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე



23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ვი-აი-პი +“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

თანა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისათვის	-	2 341 492	2 341 492
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარალი	-	274 324	274 324
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	-	2 615 816	2 615 816
პერიოდის სრული შემოსავალი/ზარალი	-	1 277 105	1 277 105
დივიდენდის გატანა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	3 892 921	3 892 921

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე



23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
თანხა მოცემულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2021	2020
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11 597 708	9 774 561
მომწოდებლების მიმართ გადახდილი ფულადი სახსრები	(9 510 477)	(7 530 538)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(913 785)	(724 129)
გადახდილი გადასახადები	(669 351)	(747 026)
შეზღუდული ფულადი საშუალებები	400 000	6 600
სხვა გადახდილი თანხები	(1 000)	(9 782)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	903 095	769 686
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირ. საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(403 318)	(162 701)
ძირ. საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 800	2 870
სესხის გაცემა	(1 345 295)	(124 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	163 500	165 800
მიღებული პროცენტები	102	9 550
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 579 211)	(108 481)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3 803 378	2 200 980
სესხის დაფარვა	(3 752 749)	(1 894 706)
პროცენტების გადახდა	(213 761)	(94 572)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(414 548)	(342 050)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(577 680)	(130 348)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(1 284 618)	493 534
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და ეკვივალენტებზე	(30 822)	(37 323)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1 475 128	981 594
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	190 510	1 475 128

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

თანხა მოცემულია ლარში

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11 597 708	9 774 561
მომწოდებლების მიმართ გადახდილი ფულადი სახსრები	(9 510 477)	(7 530 538)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(913 785)	(724 129)
გადახდილი გადასახადები	(669 351)	(747 026)
შეზღუდული ფულადი საშუალებები	400 000	6 600
სხვა გადახდილი თანხები	(1 000)	(9 782)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	903 095	769 686
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირ. საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(403 318)	(162 701)
ძირ. საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	5 800	2 870
სესხის გაცემა	(1 345 295)	(124 000)
გაცემული სესხის დაბრუნება	163 500	165 800
მიღებული პროცენტები	102	9 550
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 579 211)	(108 481)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3 803 378	2 200 980
სესხის დაფარვა	(3 752 749)	(1 894 706)
პროცენტების გადახდა	(213 761)	(94 572)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(414 548)	(342 050)
გადახდილი დივიდენდი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(577 680)	(130 348)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(1 253 796)	493 534
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და ექვივალენტებზე	(30 822)	(37 323)
ფულის და ფულის ექვივალენტების საწყისი ნაშთი	1 475 128	981 594
ფულის და ფულის ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	190 510	1 475 128

დირექტორი:

ჯაბა ჯიქიძე

23 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, რუსთავი

შენიშვნები გვერდებზე 8-19 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ვი-აი-პი +” შემდგომში - “კომპანია” რეგისტრირებულია 2006 წლის 26 სექტემბერს ქ. რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216429577. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. საზოგადოების იურიდიული მისამართია საქართველო ქ. რუსთავი, ი. ჭავჭავაძის ქ. #5-3; 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი პარტნიორი და 100 %-იანი წილის მფლობელია მამუკა ხელაია, ხოლო კომპანიის დირექტორია ჯაბა ჯიქიძე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია ან განზრახულია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	4.0233
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	3.5040

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შემცირებული თანხით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 10-30 წელი;
- სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი 2-10 წელი;
- საოფისე ინვენტარი 3-7 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს აღიარებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

3.6 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ასევე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მომსახურების გაწევის ან საქონლის გაყიდვის შედეგად მისაღები თანხები. აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 ავანსები

გადახდილი და მიღებული ავანსები აღიარდება გადახდილი/მიღებული თანხის ოდენობით გადახდის/მიღების მომენტში. ავანსების გადაფასება არ ხდება სავალუტო კურსის მიხედვით და რჩება შეფასებული ისტორიული ღირებულებით. გადახდილი ავანსების გაუფასურებაზე ტესტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას კომპანია ვერ მიიღებს და თანხის უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იქნება, მაშინ გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

3.9 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების მიღების ან საქონლის მოწოდების შედეგად. აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.11 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსურ იჯარად ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე ერიცხება ცვეთა და ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებულ აქტივებზე.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.12 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც კომპანიას აქვს უპირობო უფლება გადაავადოს ვალდებულება ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

3.13 სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები აღიარებულია მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. გრანტი, რომელიც არ მოითხოვს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც გრანტი მიღებულია ან მისაღებია. გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ უნდა აღიარდეს, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება.

3.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების გადასახადი დივიდენდის გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

3.15 დღგ

კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით).

3.16 ამონაგების აღიარება

კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში აღიარებს შემდეგი სახის ამონაგებს: ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან, ამონაგები სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციიდან.

საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეების შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისა.

საქონლის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება. ამონაგები მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ტოლია.

ამონაგები იჯარით გაცემული აქტივებიდან ხდება თანაბარზომიერად იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3.17 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.18 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც ხარჯს.

3.19 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშვნები- ნაგებობა	სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარი	ოფისის ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 01.01.2020	1 530 686	388 584	1 459 090	9 122	216 243	13 232	3 616 959
შეძენა	-	-	446 780	14 880	17 807	1 063	480 529
რეალიზაცია	-	(363 359)	(9 012)	-	(6 814)	(182)	(379 366)
ბალანსი 31.12.2020	1 530 686	25 225	1 896 858	24 003	227 236	14 113	3 718 121
შეძენა	-	-	59 227	8 591	320 953	-	388 771
რეალიზაცია	(1 319 400)	-	(48 252)	(1 335)	(45 651)	-	(1 414 638)
ბალანსი 31.12.2021	211 286	25 225	1 907 833	31 258	502 538	14 113	2 692 253

ცვეთა

ბალანსი 01.01.2020	-	593	118 701	2 354	38 267	6 620	166 535
ცვეთა	-	1 385	184 589	2 042	22 070	1 355	211 441
ჩამოწერა	-	(148)	(1 397)	-	(1 867)	(64)	(3 476)
ბალანსი 31.12.2020	-	1 830	301 893	4 396	58 470	7 911	374 499
ცვეთა	-	1 335	198 620	3 684	44 111	1 405	249 156
ჩამოწერა	-	-	(29 122)	(1229)	(8 038)	-	(38 389)
ბალანსი 31.12.2021	-	3 165	471 391	6 851	94 543	9 316	585 266

შპს „გი-აი-პი +“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ბალანსი 01.01.2020	1 530 686	387 991	1 340 389	6 769	177 976	6 612	3 450 423
ბალანსი 31.12.2020	1 530 686	23 395	1 594 965	19 607	168 766	6 202	3 343 622
ბალანსი 31.12.2021	211 286	22 060	1 436 441	24 408	407 996	4 797	2 106 988

სამშენებლო ტექნიკა და ინვენტარის ჯგუფის საბალანსე ღირებულება მოიცავს 625 812 ლარის, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფის საბალანსე ღირებულება 74 109 ლარის სს „თიბისი ლიზინგისაგან“ ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივს.

5. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 01.01.2020	872	872
შეძენა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	872	872
შეძენა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2021	872	872
დაგროვილი ამორტიზაცია		
ბალანსი 01.01.2020	311	311
ამორტიზაცია	125	125
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	436	436
ამორტიზაცია	125	125
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2021	561	561
ბალანსი 01.01.2020	561	561
ბალანსი 31.12.2020	436	436
ბალანსი 31.12.2021	311	311

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
მასალები	1 237 169	380 477
დაუმთავრებელი წარმოება	153 451	516 589
საწვავი	5 044	800
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	1 395 664	897 866

დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი მოიცავს სხვადასხვა პროექტებზე გახარჯულ მასალებს და გაწეულ მომსახურებას. პროექტების დამთავრების შემდეგ, როდესაც პროექტიდან აღიარდება მისაღები შემოსავალი, ეს აქტივიც გადატანილი იქნება პროექტებთან დაკავშირებულ თვითღირებულების ხარჯებში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 554 334	776 033
სხვა მოთხოვნები	201 482	183 842
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	2 755 816	959 875

8. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	972 174	212 474
წინასწარ გადახდილი ხელფასები	4 917	3 124
სხვა გადახდილი ავანსები	200	200
სულ გადახდილი ავანსები:	977 291	215 798

9. გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
გაცემული სესხები	1 771 796	590 000
დარიცხული პროცენტები	198 845	95 265
სულ გაცემული სესხები:	1 970 641	685 265

გაცემული სესხები მოიცავს იურიდიულ პირებზე გაცემულ არაუზრუნველყოფილ სესხებს 11%-13 %-ის ფარგლებში.

10. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულადი ექვივალენტების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში	37 403	585 912
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	153 107	576 611
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	312 605
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	190 510	1 475 128

11. შეზღუდული ფულადი საშუალებები

შეზღუდული ფულადი საშუალებები წარმოადგენს ფულად სახსრებს ფინანსური ინტიტუტებისგან მიღებული გარანტიების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გარანტიები დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე სამუშაოების შესასრულებლად გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

12. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	ვალუტა	%	31.12.2021	31.12.2020
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	EUR	5.90	154 211	344 665
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.50	-	645 271
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	EUR	5.90	-	638 271
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	10.50	-	250 000
შპს „ლ.და.კ“	GEL	12.00	-	252 972
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	11.50	598 059	-
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	11.50	669 642	-
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	13.00	536 863	-
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“	GEL	13.80	249 480	-
სულ მიღებული სესხები:			2 208 255	2 131 179

13. ფინანსური იჯარის ვალდებულება

ფინანსური იჯარის ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც:

	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი ვალდებულება	276 373	280 904
გრძელვადიანი ვალდებულება	179 736	507 116
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება:	456 109	788 020

14. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები

აქტივებთან დაკავშირებული გრანტი 1 319 399 ლარის ოდენობით წარმოადგენს სახელმწიფოსაგან ქ. რუსთავში 6 000 000 ლარის საინვესტიციო ვალდებულების პირობით მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის ერთ ლარად გადაცემულ 9144 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას.

აქტივები ექვემდებარება უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება საინვესტიციო ვალდებულებების შესრულება.

სახელმწიფოსთან შეთანხმებით 2021 წელს მოხდა აღნიშნული მიწის რეალიზაცია და საინვესტიციო ვალდებულების მყიდველზე გადაცემა.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 028 565	418 582
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	31 375	34 579
სხვა ვალდებულებები	47 639	24 529
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:	1 107 579	477 0

16. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად ყველა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	359 362	233 830
დაზღვევის ხარჯი	4 692	780
საიჯარო ქირის ხარჯი	29 683	9 223
საოფისე ინვენტარის ხარჯი	2 361	1 672
კომუნიკაციის ხარჯი	885	617
კომუნალური ხარჯი	3 967	1 592
საექსპლუატაციო ხარჯი	72 885	16 461
საკონსულტაციო ხარჯი	3 120	3 120
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	30 000	23 125
ცვეთა და ამორტიზაცია	31 583	15 180
საგადასახადო ხარჯი	14 370	16 350
ინსპექტირების ხარჯი	4 552	20 263
საბანკო ხარჯი	1 778	2 523
მივლინების ხარჯი	66 182	18 536
გარანტიის საკომისიო	57 643	90 269
საქველმოქმედო ხარჯი	-	58 654
ჯარიმები და პირგასამტეხლო	23 092	12 617
სხვა საერთო ხარჯები	98 807	58 206
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:	804 962	583 018

18. საპროცენტო ხარჯი

კომპანიის საპროცენტო ხარჯები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
სესხის პროცენტი	281 711	139 679
ფინანსური იჯარის პროცენტი	77 815	85 632
სულ საპროცენტო ხარჯები:	359 526	225 311

19. სავალუტო მოგება/ზარალი ნეტო

კომპანიის სავალუტო მოგება/ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
დადებითი საკუროს სხვაობა	103 865	18 338
უარყოფითი საკუროს სხვაობა	(60 633)	(342 394)
სულ სავალუტო მოგება/ზარალი ნეტო:	43 232	(324 056)

20. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

ხელმძღვანელობამ 2021 წელს ხელფასის სახით მიიღო 179 554 ლარი, ხოლო 2020 წელს 97 000 ლარი.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 23 სექტემბერს.